

საქართველო - პროექტი “ზრდა” საქართველოში (“ზრდა”)

მოთხოვნა საგრანტო განაცხადზე # 065-4004A-006-S-2018

ინსტრუქცია

საგრანტო კონკურსზე განაცხადის წარდგენა მხოლოდ და მხოლოდ განმცხადებლის პასუხისმგებლობაა. საგრანტო დაფინანსების მისაღებად განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მითითებულ მინიმალურ მოთხოვნებს და ასევე უნდა შეფასდეს მინიმუმ 70 ქულით. საგრანტო კომისია შეაფასებს მიღებულ განაცხადებს და დააფინანსებს მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებენ განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

დაინტერესებულმა პირებმა საგრანტო განაცხადი უნდა წარადგინონ ქართულ ენაზე, არა უგვიანეს **2018 წლის 15 ნოემბრისა (17:00 საათი)** შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: subawards@zrda.ge ან წარადგინონ პროექტის „ზრდა“ რეგიონალურ ოფისებში:

გორის ოფისი:

სტალინის ქ. N 27/1

ახალციხის ოფისი:

ქ. ახალციხე, წმინდა დავით და კონსტანტინეს ქ. N 21 ა

მარნეულის ოფისი:

ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N 48

ზუგდიდის ოფისი:

ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N 3

საგრანტო განაცხადთან ერთად, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. საწარმოს/კოოპერატივის რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ხელმოწერილი სერთიფიკატები (დანართი #4, #5)

საინფორმაციო შეხვედრა გაიმართება პროექტის „ზრდა“ რეგიონულ ოფისებში **2018 წლის 5 ნოემბერს:**

გორის ოფისი: 14:00 საათზე

სტალინის ქ. N 27/1

ახალციხის ოფისი: 15:00 საათზე

ქ. ახალციხე, წმინდა დავით და კონსტანტინეს ქ. N 21 ა

მარნეულის ოფისი: 16:00 საათზე

ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N 48

ზუგდიდის ოფისი: 17:00 საათზე

ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N 3

თბილისის ოფისი: 17:00 საათზე

ნ. რამიშვილის ქ. N 6ა.

განმცხადებლებს ვთხოვთ, გამოიყენონ განაცხადის მოცემული ფორმატი. ყველა გვერდი თანმიმდევრულად უნდა იყოს დანომრილი. ყველა დანართი გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული და მითითებული განაცხადის ძირითად ნაწილში.

გთხოვთ საგრანტო განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებით ყველა კითხვით დაუკავშირდეთ “ზრდა” პროექტის გრანტების ჯგუფს ელ. მისმართზე: subawards@zrda.ge

I. “ზრდა” პროექტის ზოგადი აღწერა და მიზნები

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტი “ზრდა” არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას სამიზნე რეგიონებში - შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო, მცხეთა-მთიანეთი და ახმეტის მუნიციპალიტეტი.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით.

პროექტი მოიცავს ადმინისტრაციულ საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებს.

II. საგრანტო პროექტის აღწერილობა

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „ზრდა“ აცხადებს საგრანტო კონკურსს მეფუტკრეობის/თაფლის წარმოებაში ჩართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ფერმერთა კავშირებისა და ინდივიდუალური მეფუტკრეებისთვის.

საგრანტო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს „ზრდა“ პროექტის სამიზნე რეგიონებში არსებულ მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის გაფართოებას, საფუტკრე მურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, გამრავალფეროვნებას და წარმოების ზრდას.

USAID / „ზრდა“ პროექტი საგრანტო პროგრამის მონაწილეებს შეარჩევს შემდეგი პრინციპით:

1. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც საქმიანობას ეწევა, ან მისი წევრები / დასაქმებული პირები რეგისტრირებულები არიან „ზრდა“ პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში/თემებში საქართველოს 6 რეგიონში (სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, და ახმეტის მუნიციპალიტეტი, იხილეთ დანართი N4) და მონაწილეობა აქვთ მიღებული სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ მეფუტკრეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში;
2. ინდივიდუალური მეფუტკრე, რომელსაც საკუთრებაში გააჩნია სულ მცირე 20 ფუტკრის სკა.

შენიშვნა: საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა გრანტის მიმღების ფინანსური თანამონაწილეობა შემოთავაზებული აღჭურვილობის შესაძენად.

გრანტის მიმღები კოოპერატივი / ინდივიდუალური მეფუტკრე ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი პირობების შესრულება:










კოოპერატივის შემთხვევაში:

- წარმოადგინოს არსებული კოოპერატივის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- წარმოადგინოს კოოპერატივის წევრებისა და მასში დასაქმებული თანამშრომლების სია და მათი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- წარმოადგინოს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ მეფუტკრეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; (მაგ. ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი);
- წარმოადგინოს ფულადი თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი ბანკიდან);

ინდივიდუალური მეფუტკრის შემთხვევაში:

- წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ მეფუტკრეს საკუთრებაში აქვს სულ მცირე 20 ფუტკრის სკა;

საგრანტო პროგრამის ფარგლებში პროექტი „ზრდა“ დაინტერესებულ მეფუტკრეობის კოოპერატივებს/ინდივიდუალურ ფერმერებს სთავაზობს შემდეგი სახის აღჭურვილობის შეძენას თანადაფინანსების პრინციპით: (იხ. დანართი 2)

#	სპეცი	სპეციფიკაცია	დამატებითი ინფორმაცია	მთლიანი ბიუჯეტი	ზრდას კონტრიბუცია	ფერმერთა კონტრიბუცია
1	სკეები	10 დადანტის ხის 10 ჩარჩოიანი თავლის საკუქნაო (სკა-მალაზია, სავენტილავიო ბადით, ხის სისქე არანაკლებ 2.5 სმ		1200 ლარი	60%	40%
2	თავლის კრემირების დანადგარი	თავლის კრემირების დანადგარს აქვს მორევისა და შერევის ფუნქციები კრემირებული თავლის საწარმოებლად. დამზადებულია უჟანგაო ფოლადისგან და აღჭურვილია ავტომატური რეგულატორით, 200 ლ		4200 ლარი	50%	50%
3	დეკრისტალიზატორები	დეკრისტალიზირების ხვეულა კასრებში შენახული თავლის დნობისა და კრისტალიზაციისთვის 50,33,25 სმ დიამეტრი		1500 ლარი	60%	40%
4	ციბრუტი	უჟანგაო ფოლადისგან დამზადებული, არმატურით და განმტკიცებული დილი; კასეტის კალიბრი დამზადებულია მკვებამდე. უჟანგაო ფოლადის ძელებისგან, აღჭურვილია კასეტებით, კონსტრუქცია ჩარჩოებს იცავს თავლის ფიჭების დაზიანებისგან. ციბრუტები გამოდგება როგორც სავსე საშუალებისთვის, ასევე სტაციონარული სკებისთვის.		4 კასეტის დადანტისთვის, ხელით სამართავი (მანუალური) - 940 ლარი	60%	40%
				4 კასეტის გადასახსნელი (კონვერტირებადი) დადანტისთვის, მანუალური - 1250 ლარი	60%	40%
				4 კასეტის დადანტისთვის, ელექტრო 220/12w - 1350 ლარი	60%	40%
				4 კასეტის გადასახსნელი (კონვერტირებადი) დადანტისთვის, ელექტრო 220/12w - 1900 ლარი	60%	40%
5	ცელსადნობი	პლასტმასის ვედროს მქონე ცელსადნობი ორთქლის გენერატორით 33 ლ		550 ლარი	60%	40%
7	თავლის შესანახი ჭურჭელი	უჟანგაო, პოლიპროპილენისგან დამზადებული სალიქრები პლასტმასის სარქველით		უჟანგაო სალიქრი 200 ლიტრი პლასტმასის სარქველით - 690 ლარი	60%	40%
				უჟანგაო სალიქრი 70 ლიტრი პლასტმასის სარქველით - 400 ლარი	60%	40%
				პოლიპროპილენის სალიქრი 31.5 ლ 4 ერთეული- 100 ლარი	60%	40%
				პოლიპროპილენის სალიქრი 18 ლ 5 ერთეული- 100 ლარი	60%	40%
8	ფიჭის ასათლილი დანა	დანისგან წამოსული სითბო აიბობს ფიჭას, რაც ჩარჩოებზე არსებული ფიჭის ათასს ამარტივებს. დანაში ჩამონტაჟებულია თერმოსტატი გადხურების თავიდან ასაცილებლად. უბრალოდ შეერთეთ კვების ბლოკში და ავადეთ დანას გაგხელება რამდენიმე წუთის განმავლობაში. გამორთეთ, როცა არ ასრულებთ ასათლილ სამუშაოებს, რათა თავიდან აირიდოთ თავის დაწვა დანაზე. 12v/220v		120 ლარი	60%	40%
9	სადედე ინკუბატორი	ეს ინკუბატორი დამზადებულია 40 მმ საიზოლაციო პოლიურეთანით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ცელილები ტემპერატურაში და ეკონომიკურია ენერჯის მოხმარების მხრივ. ციფრული დისპლეის მქონე ელექტრონული თერმოსტატი უზრუნველყოფს მუდმივ ტემპერატურას ინკუბატორის შიგნით. ინკუბატორის შიგნით მოთავსებული სათბობი ელემენტი დაბალ ძაბვაზე მუშაობს. შესაძლებელია მისი მოხსნა, ინკუბატორი ადვილად ირმინდება. ჩამონტაჟებული სინათლე და დიდი ფანჯარა ფიჭის დათვალისთვის მშვენიერ შესაძლებლობას იძლევა.		5000 ლარი	50%	50%
10	თავლის გადამამუშავებელი მინი	გადამამუშავების მოცულობა დღეში დაახლოებით 100 კგ. დანადგარი თავლის გადამამუშავებლად. შერევის, ამოტუმბვის, გაზომვისა და კონტინერებში თხევადი თავლის ჩამოსახსნელად. ჩამოსახსნელს აქვს პროგრამირებადი ციფრული დისპლეი 4 გდან 20 კგ-მდე. დამზადებულია უჟანგაო ფოლადისგან ან საკვებისთვის უსაფრთხო პლასტმასისგან. მუშაობს 220/380V კვების წყაროზე.		4000 ლარი	50%	50%

შენიშვნა: დაინტერესებულ პირებს განაცხადის შემოტანა შეუძლიათ ერთი ან რამდენიმე აღჭურვილობის შექენაზე.

გ. შეფასების კრიტერიუმები (მაქსიმალური ქულა: 100 ქულა)

განმცხადებლების შეფასება მოხდება ქვემოთ წარმოდგენილ განაცხადის ფორმაში წარმოდგენილი შეფასების კატეგორიებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.

შეფასების კატეგორია	ქულა (სულ 100)
1. ტექნიკური წინადადებაგანაცხადის შესაბამისობა	10
კარგად ჩამოყალიბებული საგრანტო წინადადება, წინადადება, სადაც აპლიკანტი აღწერს თავის გამოცდილებას მეფუტკრეობის/თაფლის წარმოების სფეროში, ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებს, წარმოებისა და გაყიდვების პროგნოზებს, ასევე მიუთითებს მოთხოვნილ აღჭურვილობას და თავის ფინანსურ თანამონაწილეობას	10
2. შედეგი და მდგრადობა	30
აღწერა, თუ რამდენად უზრუნველყოფს წარმოდგენილი საგრანტო პროექტი მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის და/ან ინდივიდუალური ფერმერის საქმიანობის ეკონომიკურ მდგრადობას	15
ბენეფიციართა/მოსარგებლეთა სავარაუდო რაოდენობა	15
3. წარსული გამოცდილება და საწარმოო პოტენციალი	20
გამოცდილება მეფუტკრეობის/თაფლის წარმოების სფეროში	20
4. ფინანსური თანამონაწილეობა	40
საგრანტო კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი ფინანსური თანამონაწილეობა	40

დანართი 1

განაცხადის ფორმა პროექტის მოკლე აღწერილობით

დანართი 2

მოთხოვნილი აღჭურვილობა და ფინანსური თანამონაწილეობა

დანართი 3

სპეციალური პირობა ფედერალური დახმარების გაწევასთან დაკავშირებით (აუცილებელია ხელმოწერა)

სპეციალური პირობა გადაუხდელი გადასახადების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით (აუცილებელია ხელმოწერა)

დანართი 4

ზრდა-ს სამიზნე თემების ჩამონათვალი